მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

ოდესაში კვლავ განაგრძობენ ებრაელთა აწიოკებას. თბილისის პარტის ბრალმდებელი შეეკითხა პოლიციას, შიო ჩიტაძის მკვლელობის შესახებ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 30

პარასკევი, 14 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 30

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კოლონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

## „პოგრომი“.

რას ამბობს ხალხი?

იქნება დიდი „პოგრომი“

რის ეშინია ხალხს?

„პოგრომის“.

რისთვის ემზადება ხალხი?

„პოგრომისთვის“

რას უმზადებს მთავრობა ხალხს?

პოგრომს.“

რით გამოიხატება პროგრესი რუსეთის რევოლიუციაში?

„პოგრომით“

რაზეა დამყარებული მთავრობის სოციალური ბრძოლის პოლიტიკა?

„პოგრომზე“

რამ უნდა დააწყნაროს მთავრობის აზრით აჯანყებული ხალხი?

„პოგრომმა.“

რა როლის თამაშობდა მთავრობა ისტორიაში?

„პოგრომშჩიკის“

როგორია მთავრობის მომავალი კარიერა?

„პოგრომისტული“.

რათ უკვირს ხალხს მთავრობის „პოგრომიზმი“?

თითონაც არ იცის რათ, თორემ არც გაუკვირდებოდა.

ნეტავი რას აპირებს დღეს ხალხი?

გულზე ხელებ დაკრეფილ ბრძოლას, თუ მშვიდობიან დემონსტრაციას, თუ კანონიერ კადეტურ რევოლიუციას, თუ განაგრძობს სოციალ-დემოკრატიულად უფლების პოლიტიკურ ძალის თავის უძლურ ხელებში ჩაგდებას?

რა უნდა ვქნათ?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მანამ უნდა ცხადად ჰყოთ ჩვენი ვინაობა. ჩვენი ვინაობის გამოკვლევა მით უფრო საჭიროა, რამოდენადაც **ჩვენ ჩვენ მიზანს**, და **არა სხვის მიზანს** უნდა ვემსახუროთ. სოციალდემოკრატიული, დიალექტიკური, უპრინციპო ლოლიკით თუ ვიხელმძღვანელებთ მაშინ სრულებით არ არის საჭირო ჩვენი ვინაობის გამოკვლევა, რადგან დიალექტიკური, მარქსის (ღმერთო შემცოდე და შემინდე ეს ამ გვარი უტიფრობა და შენი სახლის მკრეხელობა (Святотатство) ლოლიკით კენგურუ ან მაიმუნი და ნიუტონი გინდ ლაპლასი სულ ერთი იყო რომ ევოლიუციამ შესაძლებელი გახადა მაიმუნისაგან ადამიანთა ჯიშის წარმოშობა და ამ უკანასკნელმა კი წარმოშვა ნიუტონი და ლაპლასი. სოციალ-დემოკრატიული მეცნიერებით (?) საგნები და მოვლენები უნდა ფასდებოდნენ მათი მომავლით, ამ ნიშნებით, რომლებიც მათ მომავალში ექნებათ (ექნებათ კი?) და არა იმ ნიშნებით, რომლებიც მათ ახასიათებენ და სთვისებიათ აწმყოში; ჩვენი აზრით და ლოლიკით საგნები და მოვლენები უნდა გაირჩეს და დაფასდეს მათი დღევანდელი თვისებებით და ნიშნებით — ცხადია, რომ ხვალ უნდა მივიღოთ ხვალინდელი ნიშნები და შემდგომ შემდეგ სტადიონ, შესაფერი ნიშნებ ზედ ბევრი ბლანკის არ იყოს შემთხვევების მნიშვნელობა იზომება არა იმოდენათ მათი დღევანდელი, პირდაპირი ნაყოფით, რამოდენათ მათი მომავალი, არა პირდაპირი ნაყოფით: ის ვინც მომავლით ზომავს აწმყოს ან მომავლით იწყებს და ათავებს აწმყოთ არის ნამდვილი უტოპისტი და არა ის ვინც აწმყოით იწყებს და ათავებს აწმყოით.

ჩვენ იმიტომ გვქვია **დღეს** სოციალისტები, ბურჟუებს იმიტომ ჰქვია **დღეს** ბურჟუაზია, რომ ჩვენ **დღესვე** სოციალიზმისთვის ვიბრძვით და ბურჟუაზია **დღესვე** ბურჟუაზიული რეჟიმისათვის, სოციალიზმის წინააღმდეგ იბრძვის. ჩვენ და მათ შორის არავითარი შეთანხმება **არასოდეს** და **არსად** არ შეიძლება.

ვინ არის ბურჟუაზია?

ვინ და ჩვენი — პროლეტარიატის მტერი როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად, ის ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური მყვლეფელი ექსპლოატატორია. მისი წარმოების წესი მისი კერძო საკუთრების და მწარმოებლის ჩვენი სიმშილის, სიღატაკის გამამძლავრებელია.

რისთვის იბრძვის ბურჟუაზია?

ის იბრძვის სოციალური საყვლეფი სისტემის გასაუმჯობესებლად, ე. ი. ჩვენი სიღატაკის სიმშილის ასაძლიერებლად ის გახდა მცარცველი ძალის, სახელმწიფოს საშუალებით, რადგან ცარცვა იძულებაა. ამისთვის, რომ თავისი მყვლეფელობის და ცარცვის სისტემა გაემაგრებინა და ხანგრძლივი გაეხადა იმან რევოლიუციებიც კი მოახდინა ხან თავისი ხან სხვისი მკლავით, ხან ზევიდან ხან ქვევიდან მოტყუებით.

ვინა ვართ ჩვენ?

ჩვენ ვართ პროლეტარები, მუშები, რომლებიც ბურჟუაზიის სიმდიდრეს და უსაქმობას იმავე ბურჟუაზიის იძულებით ვჰქმნით და არა ჩვენი ნებით. ჩვენა ვართ ის დაქირავებული მონები, რომლებიც დავრჩებით მონათ მანამ, სანამ ბურჟუაზიულ რეჟიმის ნასახი იქნება. ჩვენა ვართ მასაზრდოებელი მთელი კაცობრიობის, შემქნელნი კაცობრიული კულტურის, ცივილიზაციისა, ყოველივე სიმდიდრისა, რომლისგან ჩვენ მხოლოთ იმდენს მოგვიწილავენ, რამოდენიც საჭირო ბურჟუაზიის დანაიოსის კასრის, ბოჩკის ამსებაზე მუშობისთვის.

ბურჟუაზია და სახელმწიფო ჩვენ მონობაზე დამყარებულ თავისი თავისუფლებისათვის იბრძვის ის ჩვენი მტერია. ჩვენ კი როგორც მთელი კაცობრიობის სიმდიდრის, კულტურის, ცივილიზაციის მწარმოებელნი ვიბრძვით მთელი ქვეყნის განთავისუფლებისთვის. ჩვენი განთავისუფლება მთელი ქვეყნის, კაცობრიობის განთავისუფლება იქნება.

ბურჟუაზია და სახელმწიფო კი პარაზიტები.

ჩვენ მეთავისუფლენი (libertair) ვართ ბურჟუაზია და სახელმწიფო კი მონათმფლობელნი არიან.

ჩვენ რევოლიუციონერები ვართ ბურჟუაზიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ, ბურჟუაზია და სახელმწიფო კი კონტრ-რევოლიუციონერები რეაქციონერები არიან ჩვენ წინააღმდეგ.

ჩვენ გვინდა მონობისაგან ავდგეთ, ავემაღლდეთ, ავჯანყდეთ, ბურჟუაზიას კი უნდა ჩვენი დამცირებით, დამონებით იცხოვროს ღრმა ზნეობრივ წუმპეში.

ბურჟუაზია და სახელმწიფო ჩვენი დაუძინებელი მტერია, მაგრამ ჩვენი მოსპობა არ სურს, რადგან, როგორც პარაზიტებს უჩვენოთ ცხოვრება არ შეუძლიათ, ჩვენ კი მათი სავსებით მოსპობა გვინდა, რადგან ჩვენი მონობა მოისპობა სავსებით მათი სავსებით მოსპობით, რადგან ჩვენ უმათოთ კიდევ უფრო უკეთესათ შეგვიძლია ცხოვრება.

ისინი ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მტერია, ჩვენ მათი ეკონომიური, პოლიტიკური და ფიზიკური მტრები ვართ.

შერიგება — მორიგება ყოვლად შეუძლებელია როგორც ქარხანაში, ისე პარლამენტში, როგორც ოჯახში, ისე ქუჩაში.

ისინი ქარხანას აყვლეფინებენ, ჩვენ ვეფიცებით; ისინი პარლამენტით სულს იბრუნებენ, ჩვენ პარლამენტს ბოიკოტს უცხადებთ, უარვყოფთ; ისინი სახელმწიფოზე ამყარებენ თავიანთ იმედებს, ჩვენ სახელმწიფოს ძირს ვუთხრით.

მაშასადამე ამის შემდეგ ძალიან პროგრესიული და მოწინავეც, რომ იყოს რევოლიუციონური ბურჟუაზია: დემოკრატია, სოციალდემოკრატია, დემოკრატიული სოციალიზმი გინდ სხვა რომელიმე პარტია, რომელიც მოისურვებს ჩვენთან კავშირის დაჭერას, ჩვენ მათთვის ერთი და მუდამ უცვლელი პასუხი გვაქვს: „წაბრძანდით თქვენი გზით, ჩვენ ვივლით ჩვენი გზით და თუ ვითარებამ შეგვყარა იცოდეთ არ დაგზოგავთ“. აი ჩვენი პასუხი.

ბურჟუაზია სიტყვის, კრების წერის, ბეჭდვის, კავშირების, გაფიცვების თავისუფლებისათვის იბრძვის.

მართალია, იბრძვის ამის გულისთვის, მაგრამ ყველა ეს სახელმწიფოს ფარგლებში უნდა დარჩნენ, ყველა ეს **თავისუფლებები** სახელმწიფოში „კანონებით“ უნდა დაიცვას. „კანონი“ და თავისუფლება ერთი მეორის უარის ყოფა არის; სახელმწიფოის დაცული თავისუფლება კი მგლის მიერ დაცული ცხვრის ფარა იქნება. ჩვენთვის

სულ ერთი ფასი აქვს მონარქიულ რესპუბლიკას და თვითმპყრობელ მონარქიას, მათი თავისუფლებები ერთი მეტრის წონა არიან, ისინი ერთნაირად უარჰყოფენ თავისუფლებას, რომლის განახორციელებლადაც ჩვენ ვიბრძვით. მაგრამ ჩვენ „ნახევარ თავისუფლებასაც" ვაფასებთ, მაშინ, როდესაც ეს თავისუფლება ბრძოლით არის მოპოვებული, რადგან თავის ნებით ბატონები არასოდეს არ ანთავისუფლებენ. ჩვენ მთელ თავისუფლებისთვის ვიბრძვით და სოციალურ ძალთა განწყობილება კი გადამწყვეტი იქნება ნაყოფის განსაზღვრაში.

J. La Flamme.

## ახალი ამბავი

თბილისის ქალაქის გამგეობა ატყობინებს პოლიცმეისტერს, რომ მან დაუთმო ქალაქს შენობები უსაქმოთ დარჩენილთა ბიუროს და კომისიებს, რომელნიც ასრულებენ ქალაქის საქმეებს. ამასთანავე ქალაქის გამგეობა სთხოვს პოლიცმეისტერს, რომ პოლიციამ ხელი არ შეუშალოს მათ მუშაობას, რადგან ქალაქისათვის მეტად საჭირო საქმეებს ასრულებენ ბიურო და კომისიები. მაგალითათ ისინი ადგენენ სიას, რომელთაც უნდა ახალგაზრდანი გაწვეულ იქმნენ ჯარში.

— კავკასიის სამხედრო სასამართლოში 15 ივლისისათვის არის მესამეთ დანიშნული საქმე ვ. კიზიშვილისა, რომელსაც ვატმანი ლიტვინენკოს მკვლელობას აბრალებენ. ბრალდებულს იცავენ კლონკი და კ. ჯაფარიძე.

— 15 ივლისს გამოდის რუსულ ენაზე გაზეთი „ოტგოლოსკი". რედაქტორ-გამომცემელი ა. ნ. ჩერქეზიშვილია.

— კავკასიის სამხედრო სასამართლოში დანიშნულია 18 ივლისისათვის საქმე ?გელაძის, ურუაშვილის და კვაჭაძის, რომელთაც ბრალი ედებათ ძმ. ალიხანოვების თავდასხმაზე 1905 წ. ეს საქმე განსაჩივრებულია სამხედრო ბრალმდებლისაგან, რომელიც არ დაეთანხმა სასამართლოს განაჩენებს რომლამაც გაამართლა ბრალდებულნი. ბრალდებულთ იცავენ კლონკი და კ. ჯაფარიძე.

— თბილისის სახაზინო თეატრის დირექციასა და ბ. შტეინბერგს შორის მოხდა შეთანხმება. ბ-ნ შტეინბერგმა მიიღო დირექციისაგან 500 მ. და მოსპო სასამართლოში აღძრული საქმე დირექციის წინააღმდეგ შესახებ 1906—1907 წ. სეზონში თეატრის არენდით გადაცემისა, რომელზედაც შტეინბერგმა უარი განაცხადა.

— თბილისის პალატის ბრალმდებელი შეეკითხა თბილისის პოლიციას შიო ჩიტაძის მკვლელობის შესახებ.

ბრალმდებელი თხოულობს ახსნას რანაირათ მიეცა ჭრილობა კისერში შიო ჩიტაძეს, როცა რომ ჭრილობას არა აქვს ტყვიის ხასიათი.

— როგორც გორიდან გვატყობინებენ ჩილინგაროვ მამულაშვილის მკვლელობის საქმე უფრო სხვანაირათ ყოფილა, ვიდრე პოლიცია გადმოსცემს. მამულაშვილი, თურმე ლიახვის პირას სხვის რევოლვერებს სცდიდა რომელნიც მას გასაკეთებლათ ჰქონია მიცემული. ხეზე მოსხმული პატრონები და უსროლიით თოფები. შეშინებული თოფის ხმით მამულაშვილი, გაქცეულა და ის იყო კიდეც მოუკლავთ.

— ტყვიის ჭრილობების გარდა ოთხს ალაგას შტიკის ჭრილობა ჰქონია განსვენებულს. მეორე დღეს ამ ამბის გამო მთელს გორში საერთო გაფიცვა ყოფილა.

— სოლქოს სასამართლომ გაარჩია საქმე ახმეტელაშვილისა, რომელიც იყო გაზეთი „სხივის" რედაქტორი. სასამართლომ მიუსაჯა ახმეტელაშვილს ჯარიმა 50 მან. ან და დაპატიმრება 10 დღით თუ ჯარიმას არ გადიხდის.

— 12 ივლისს საღამოს 9 საათზე ერევნის მოედანზე ვიღაც სალდათი შეხტა ტრამვაის ვაგონში. სალდათს კონდუქტორმა ბილეთი მოსთხოვა, მაგრამ პირველმა ბილეთის აღების მაგივრათ, როცა ძირს ჩასვლა მოსთხოვეს, ცემა დაუწყო კონდუქტორს. როგორც იყო ვაგონის ვატმანმა და ახლო მდგომმა პოლიციელმა ხელიდან დაგლიჯეს სალდათს კონდუქტორი. სალდათი საკომენდანტო სამართველოში წაიყვანეს.

როგორც სამტრედიიდან გვატყობინებენ ადგილობრივი პრისტავი შავგულიძის მხლებელმა მოკლა თავისი „ბატონის თვალის წინ" უგულავა 25 წლის ყმაწვილი კაცი. უგულავას, როგორც ამბობენ, რამოდენიმე ჭრილობა ჰქონია ხანჯლით.

### სიტყვა, რომელიც უამინდობის გამო ვერ იქმნა წაკითხული შიო ჩიტაძის საფლავზე.

ტყვიით გაგმირულო და წამებით მოკლულო ძვირფასო ამხანაგო შიო!

ყველა კეთილ მშრომელის ამხანაგების ამხანაგო!

ჭეშმარიტის გულ-წრფელ სულით და გულით განსჭვალულო, შენნი მოძმენი სდგანან დაღონებულნი შენს წმიდათა წმიდა უმანკო გვამთან და ეთხოვებიან შენს დაუვიწყარ სახეს.

მშვიდობით კეთილ-მშრომელთ დაუღალავ მხნე, გონიერო და ნიჭიერო მოღვაწევ! შენმა ნამდვილმა ადამიანობამ აღადგინა სახელი შენი და შენის მშობლების, ბევრმა მშობელმა აღზარდოს შენებრ თავ-განწირული მშრომელი სიმართლის მოყვარე შვილი.

იყავი მასწავლებელი ქართული გიმნაზიისა, რომელიც დღეს დააობლეს მოწაფენი უდროვოთ მტარვალებმა. დღეს თუ არა ხვალ ამა...

## ფელეტონი

### მოკლე სისტემა ანარქიზმისა

(ჟ. მალატესტასი)

(გაგრძელება.)

საუბარი მეექვსე

**გიორგი** იცით, ვიღაცას ცნობა მიუცია გაზეთისთვის ჩვენი მაშინდელ ბაასის შინაარსისა, და ამისთვის გაზეთი შეუჩერებიათ.

**ამბრუაზ.** ნუ თუ?

**გიორგი.** — ვითომ არ იცით?! მე არ მესმის, როგორ შეიძლება გეშინოდეთ მოპირდაპირე აზრისა იმ დროს, როდესაც თქვენ თავს მართლად სთვლით?! ამ გაზეთში ჩემი და თქვენიც ნალაპარაკევი სრულად, უკლებლად გადაუციათ; იმის მაგივრად რომ გაგვხარებოდათ, რომ ხალხი დააფასებს იმ საფუძვლთა სიმართლეს, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება და გაჰბედავს ამათ მტრობას მათ მოწინააღმდეგებისადმი, თქვენ, პირიქით სცდილობთ პირი გაუგლისოთ მათ.

**ამბრუაზ.** მე აქ არაფერ შუაში ვარ, მე არავითარი დამოკიდებულობა არა მაქვს პროკურორის ზედამხედველობასან: მე სასამართლოს წარმომადგენელი ვარ.

**გიორგი.** ეს თუ გინდ ასეა, თქვენ მაინც ერთ და იმავე სულით და ზრით ხართ გაჟღენთილი. შეიძლება ჩემი საუბარი თქვენთვის არა სასიამოვნოა? სთქვით... მე წავალ.

**ამბრუაზ.** არა, არა, პირიქით, მე უნდა ვაღიარო რომ, ჩვენი საუბარი მაინტერესებს გავაგრძელოთ! რაც შეეხება გაზეთის აკრძალვას, მე ამას შესახებ პროკურორს მოველაპარაკები. რაც უნდა იყოს კანონი არავის არ აძლევს უფლებას ლაპარაკი აგიკრძალოთ.

**გიორგი.** გავაგრძელოთ. წინად როგორც მე მახსოვს თქვენ იცავდით საკუთრების უფლებას არსებულ კანონების, სიმართლეთა გრძნობის და საზოგადოებათა სარგებლობის მიხედვით. მაგრამ მომეცით ნება რომ განვმარტო ჩემი საკუთარი შეხედულება ამ კითხვაზე. ჩემის აზრით, კერძო საკუთრება დანაშაული და უზნეოა, იმიტომ რომ ის დამყარებულია ან ვერაგ ძალმომრეობაზე, ან სიცრუეზე, და ან სხვის შრომის დაკანონებულ ექსპლოატაციაზე; ის მავნებელია იმიტომ რომ აძნელებს ყოველივე წარმოებას და მიწიდან აუცილებელ საჭირო ნაყოფთა მოპოებას, რომლის უქონლობას ითმენს ხალხის უმრავლესობა; ის კიდევ მავნებელია იმიტომ რომ, ჰქმნის შას ის ტანჯვა-ვაებას, ჰბადებს შურს, დანაშაულებას, და ყოველივე ბოროტებას, რომლებიც ავიწროებს თანამედროვე საზოგადოებას. აი რატომ მე მინდოდა და მინდა რომ ის არ არსებობდეს, და გარდაიქმნებოდეს საზოგადო კუთვნილებათ, რომლის შემწეობით ხალხი იცხოვრებს კეთილ-დღეობაში

**ამბრუაზ.** ეჰ! გეფიცებით ღმერთს, მევ ვერ ვხედავ, რა ლოღიკურად უახლოვდებით მაგას? თქვენ მოჰსპეთ საკუთრება, რახან თქვენი აზრით, ის წარმოშობილი და დამყარებულია ძალმომრეობასა და სხვის შრომის ექსპლოატაციაზე; თქვენ სთქვით, რომ კაპიტალისტებს აქვთ დაპყრობილი წარმოება, სახეში აქვთ თავიანთი ინტერესები, და არა იმის სურვილი რომ უფრო სრულად დააკმაყოფილონ ხალხთა მოთხოვნილებანი ცოტა მუშაობა თალის დახარჯვით; ცოტად თუ ბევრად თქვენ დაბეჯითებით დაამტკიცეთ რომ ის, ვინც მიწას, საკუთარი ძალღონით არ ამუშავებს, ის მოსავლის არ უნდა ღებულობდეს; თქვენ კიდევ უარჰყავით, რომ საკუთარი ფული აწარმოოს ადამიანმა, სახლები და ან სხვა რამეები შეიძინოს; საკუთრების უფლებათა საკუთარი შრომის ნაყოფთა მოხმარის უფლება ჰქონდეს; ერთი სიტყვით თქვენ გარდასწყვიტეთ მიწისა და სხვა საწარმოო იარაღთა კერძო საკუთრების მოსპობა, დაამტკიცეთ მიწების და იარაღების განაწილების აუცილებლობა მსურველთა შორის თუ კი სურთ ისარგებლონ. მაგრამ ეს მაინც დაშორებულია კომმუნიზმთან. კერძო საკუთრება, საკუთარ შრომის ნაყოფებზე უნდა არსებობდეს, და თქვენ თუ კი გინდათ რომ თქვენი თავისუფალი მუშა უზრუნველყოფილობაში სცხოვრობდეს, თქვენ უნდა სცნოთ საჭიროთ მიწისა და სხვა საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისინი საჭიროა მუშაობისთვის.

**გიორგი.** არა ცუდია! გააგრძელეთ! თქვენ თითქმის დაუკაკუნეთ სოციალიზმის კარებს, თუმცა თქვენი თეორია არ ჰგავს ჩემსას, მაგრამ ის მაინც ახლოა სოციალიზმთან. სასამართლოს თავჯდომარე და სოციალისტი! ეს სასიამოვნო მოვლენაა!

**ამბრუაზ.** არა, არა, სრულებით სოციალისტი არა ვარ! მე მხოლოდ მინდოდა დამემტკიცებინა რომ თქვენ ტყუილად უწოდებთ თქვენ თავს კომმუნისტს, იმ დროს როდესაც ხართ უფრო მომხრე წარსულ უტოპიისა. მხოლოდ თქვენ ივიწყებთ, საკუთრების დაქუცმაცება შეუძლებლად ხდის ყოველგვარ მსხვილ წარმოებას, და ამეფებს საერთო სიღატაკეს.

**გიორგი.** მართალია, ქონების დაყოფა არა მარტო მავნებელია წარმოებისთვის, არამედ უფრო უარეს...

მოითხოვს ახალი თაობა რომლის ზვირთების ტალღები გადალეკავს ყველა უსამართლო ძალ-მომრეობას. ვერავინ დაივიწყებს შენს ერთგულ მხნეობას შენს ნაშრომს. შენთვის არ არსებობდა აგარაკები გასასეირნებელი ალაგები, ყველას სთმობდი ოღონდ საქმე წინ **წაგეწია** პოლიტიკური, თუ სხვა, შენ იყავი გულწრფელი მასწავლებელი შენის ახალგაზრდა მოწაფეებისა და არა ფორმალისტი, რომელნიც სულით და გულით გამსჭვალულნი, მგლოვიარენი არიან მოიგონებენ იმ ნეტარს დროს როდესაც მათთან მეცადინეობდი, ისმენდნენ მუდამ კეთილ-გრძნობიერ სიტყვებს რომელიც ახდენდა მათზედ დიდ შთაბეჭდილებას თანაგრძნობის და სიყვარულისას.

მაშ ვიგლოვებთ როგორთაც იგლოვეს თერთმეტმა მოწაფემ თავიანთ მოძღვარი... შენ საბრალო მუშაკო უდროვოთ მოგიღეს ბოლო წამებულო არა ადამიანებისაგან. საბრალო ის მუშა რომელიც თავის ნამყენის ნაყოფს ვეღარ მოიკრეფს ეს სწორეთ შენზედ მოახდინეს შენ ვეღარ ნახავ რასაც თავგანწირული ებრძოდი რასაც მოუთმენლათ ელოდი შენ ვეღარ მიალერსებ შენს დაობლებული ცოლშვილს შენს საცოდავ მშობლებს, ეს ყოველი მოგისპეს შენსა და შენსმისწრაფების შუა დაიხუჭა გრძნობიერი თვალები, ჩააქრეს ნიჭიერი გონება. ვინ მოაშორა ამ გასაჭირ დროს ასეთი მხარი ამხანაგობის ვინა და ვინ ვინ უდგია წინ ადამიანობის განვითარებას ადამიანობის წინ სვლას ვინ არიან ისინი? ესენი არიან თვით მპყრობელობის ჯალათები. ნუ გეწყინება ამხანაგო ისეთი არა ადამიანებისგან რომლების მოქმედებას მუდამ ხედავდი. ბევრია შეწირული. შენსავით წამებით ნამდვილ ადამიანობის დამცარების ბრძოლაში არ დაიკარგება მშრომელი ხალხი მოითხოვს ყველას უსამართლობის გაუქმებას და ძირს დასცემს ყველა ძალმომრეობის მაშინ დაყარდება ნამდვილი ადამიანობა. ის ხმა შეანძრევს ყველა შენებრ წმინდათ საფლავს და ძვლები თქვენი იგრძნობენ მყუდროებასა...

მაშ მშვიდობით მზე მუშაკო შიო! მოგ გონებთ გლოვით როგორათაც წამებულ მსხვერპლს უსამართლობისას, თავისუფლების მებრძოლო ქაბოკო: ეს იმითი დამტკიცდება რომ შენ წამება მოედო მთელ მიწის ზურგს მოიყარნენ ნაცნობმა და უცნობმა სხვა და სხვა სოფლებიდან და ქალაქ ბიდან თავი შენს პატივი საცემათ შენს წამებულის გვამის წინაშე და აფრქვევ მდუღარე ნაკადულს ცრემლს მოგიძღვნით მადლს დაუღალაო მუშაკო თაყვანს ვცემთ შენ უბრალო წამებით დაანთხეულს წმინდა სისხლს იქნება სახელი და საფლავი შენი დაუვიწყარი თანამგრძნობელი შენი გაძლევენ საფლოვის კარზე, სიტყვას არ დასთმონ შენი წმინდა სისხლი და არ შეირჩინონ საშვილიშვილოთ შვიდობით ჩვენო ერთგულო ძმაო შიო.

ილიკო ტუხარელი.

---

### წერილი გურიიდან.

ცხოვრებამ თითქმის ჩვეულებრივათ იწყო მსვლელობა და თავის კვლავინდებურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ მდგომარეობა დღითი დღე იცვლება. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კვლავ იჩინა თავი. ხალხი აბობოქრდა. გაქრობა გაქარწყლების გზაზე დამდგარი შავ-ბნელი რეაქცია სულს ღაფავს, თან და თან ნელდება და ეკარგება წინანდელი სუსხი. „ურწმუნონი“ შესამჩნევათ მორბილდნენ. რეაქციის ამყოლ-დამყოლებმა, რაკი არ გამართლდა მათი მოლოდინი, ქედი მოიხარეს მოძრაობის წინაშე და თავ-ჩაკიდულები, დამმარებულები დაიარებიან; გულს უკლავს ის გარემოება, რომ ქანც მოტეხილი რეაქცია თან და თან მიექანება და მისი საზიზღარი, გასისხლიანებული ბრჭყალები აღარ მოსჩანს გახრწნილი სულთამხუთავ ბიუროკრატიის ერთგული მოსამსახურეები და სიბნელისა და ძალ-მომრეობის მცველები, რაკი „არ აღმოიფხვრა ხალხში რევოლიუციონური სული“, როგორც თვითონ ფიქრობდნენ, ძალაუნებურად იმედს დამორჩილნენ და სანაქებო მოღვაწეობას თან და თან უკლეს. პოლიცია მიყუჩდა, ცოტათი მიიძინა. დიდის ხნის განმავლობაში სამსალა ნასმევი, თავისუფლების ძებნაში ტანჯულ-წამებულ ხალხი კი, პირიქით, თან და თან უფრო გათამამდა, სასტიკი ქარიშხალის ჩადგომის შემდეგ გონება და წინანდელზე უფრო მხნეთ და მედგრათ შუდგა შრომას იმ მიზნის მისაღწევად, რამაც აამოძრავა. მთელს გურიაში წინანდებურათ იმართება კრებები, წინანდებურათ გაისმის მიტინგებზე თავისუფალი სიტყვები და მოწოდება განახლებისადმი; კვლავ გრგვინავს მედგარი ყიჟინა საბედისწერო ომისათვის გამზადებულ მებრძოლთა და ყველა ეს მთელს არე-მარეს რაღაც განსაკუთრებულ ელფერს სდებს.

ასეთია მოკლეთ საერთო სურათი გურიის დღევანდელი ცხოვრებისა, რომელიც ბევრ ალაგას აჭრელებულია სხვა და სხვა სასიამოვნო და არა სასიამოვნო ფაქტებით.

ყველას ყურადღება ამ ჟამათ სახელმწიფო დუმისაკენ არის მიქცეული: მტკიცეთ სწამს ყველასა, რომ დუმა მათ ვერაფერს მოუტანს, რომ საქმის გადამწყვეტი ბოლოს იქნება ქუჩა, — ეს რევოლიუციის მთავარი ასპარეზი.

მართალია, დღეს ხალხი სდუმს, შედარებით მიყუჩებულია, მაგრამ ვაი მის მტრებს და ორგულებს,

---

სიც; ის ახლო მომავალში კიდეც შეაჩერებს მსხვილ წარმოებას და შექმნის ხალხის სიღარიბეს და უარესს ექსპლოატაციას.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მე არა ვარ ქონებათა დანაწილების მომხრე.

მე ვცნობ მუშათა უფლებას, ისარგებლოს თავისი შრომის ნაყოფით.

შეუძლებელია, მუშა ჩავთვალოთ, როგორც განყენებული რამე ქვეყნისაგან, იმას უნდა უყურებდეთ როგორც საზოგადოების წევრს, და მისი უფლებაც უნდა ეთანხმებოდეს სხვათა უფლებებს. თანამედროვე წარმოების ხანაში, შეუძლებელია გამოკვლევა იმისა, რომ, თვითეული მუშის რავდენი შრომის ნაწილია, ნაყოფში დახარჯული, რამდენი ბუნებისაგან და სოციალურ მდგომარეობისაგან ნაანდერძევი. ამის ძებნა შეიძლება იქ სადაც ძმური სიყვარული და სოლიდარობაა.

**ამბრუაზ.** მაშინ ხომ თავისუფლება არ იქნება.

**გიორგი.** პირიქით, მაშინ არის შესაძლებელი თავისუფლება. ეგრედ წოდებული ლიბერალები თავისუფლებას უწოდებენ იმას რომ რაც გინდა ის ქმნა, და არც კი ყოფნისთ ურცხვობა, არც კი სწითლდებიან და არც ხუმრობენ, როდესაც ამბობენ, სიმშილისაგან მომაკვდავს მიცემული აქვს სრული თავისუფლება სჭამოს, მაგრამ რა სჭამოს, რაც არაფერი აქვსო. ჩვენ კი წინააღმდეგ ვამბობთ, თავისუფლებას ვეძახით პრაქტიკულ შეძლებას სურვილის შესასრულებლად — და ეს თავისუფლება, ნამდვილი თავისუფლებაა, რომელიც გახდება მით უფრო ადვილი განსახორციელებელი, რაც უფრო მეტი თანხმობა ჩამოვარდება ხალხთა შორის და რაც უფრო ძლიერ გაღვიძებული იქნება ურთიერთ-დახმარებისათვის გრძნობები.

**ამბრუაზ.** თქვენ სთქვით რომ ქონება დაიყოს მაშინ მსხვილი წარმოება ხელახლად შეჩერდება და ხელ-ახლად ყველაფერი დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელიც განაწილებამდი იყოო. რატომ?

**გიორგ.** იმიტომ რომ თვით დასაწყისიდან შეუძლებელი გახდება სრული თანასწორობის დამყარება: მიწის თვისება მაგ. სხვადასხვა ნაირია; რამდენიმე მიწები გვაძლევენ ბევრ ნაყოფს ცოტა ძალღონის და ხარჯვით. და თითქმის არც კი საჭიროა დამუშავება; რამდენიმე გვაძლევენ ცოტა ნაყოფს და თხოულობენ ბევრ შრომას. სხვადასხვა პირები წარმოადგენენ სხვადასხვა ზარალ სარგებლს; ფიზიკურ და გონებრივ ძალის, განსხვავება არის არსებითი ფაქტორი.

განაწილების მომენტი იქნება სიგნალი მტრობისა და მათ შორის ბრძოლისა: უკეთეს მიწებს, საუკეთესო საწარმოო იარაღებს ჩაიგდებენ ხელში უფრო ღონიერი ჭკვიანი და ეშმაკი ხალხი, რომელნიც უცბათ დაითმობდენ პრივილეგიურ მდგომარეობას ეს ბედნიერნი, ელემენტარულ უპირატესობის შემწეობით, რომლებიც მე წინად გიჩვენე მიხვდებიან, რომ მათი მნიშვნელობა იზრდება ყოველ დღე, და ეს ჩაუგდებს საფუძველს ახალ ექსპლოატაციის და ექსპროპრიაციას, რაც მიიყვანს ბოლოს და ბოლოს მაინც ბურჟუაზიულ წყობილებაში.

**ამბრუაზ.** ამის წინააღმდეგ შეიძლება კანონები რომლებიც აღიარებენ საკუთრების ხელშეუხებლობას და რომლებიც შექმნიან ულონოსათვის გარანტიას.

**გიორგ.** ეჰ, თქვენ მაინც კანონებში ხედავთ ხსნა! ტყულათ კი არ ეკუთვნის სასამართლოს წოდება!

კანონები გამოდიან და იცვლებიან ღონიერთა ნებით. ისინი ვინც ღონიერნი არიან ხალხის უმრავლესობაზე, ისინი გარს უვლიან კანონებს; და ვინც უფრო ღონიერნი არიან ისინი უბრალოდ სცვლიან მათ დაადგენენ სხვები.

**ამბრუაზ.** მაშ ახალ წესწყობილებაში, რომელზედაც თქვენ ოცნებობთ!

**გიორგ.** ახალ წესწყობილებაში ბრძოლ ხალხს შორის შეიცვლება სოლიდარობათ. და რომ ამას მივაღწიოთ უნდა მოისპოს კერძო საკუთრება.

**აბრუაზ.** თქვენ მართლა კომუნისტი ხართ?! ყველაფერი ყველასთვის, იმუშავე ვისაც გსურს, და ვისაც არა სჭამე, სვი და იმხიარულე! რა ბედნიერი ქვეყანაა; რა კეთილი ცხოვრება და რა სახლი იქნება ჭკუასთან დაშორებულთათვის! ხა, ხა, ხა!

**გიორგ.** მე ვეჭვობ, რომ თქვენ სასაცილოდ მიგაჩნდეს, როდესაც თქვენ სცდილობთ დაიცვათ თანამედროვე წყობილება, რომელიც დამყარებულია ვერაგ ძალაზე! დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, მე კომმუნისტი ვარ. მაგრამ სჩანს რომ თქვენ, საოცარი წარმოდგენა გაქვთ კომმუნიზმზე. შემდეგისთვის მე ვეცდები გაგაგებინოთ. მშვიდობით!

კან-გან-ჯარ.

(გაგრძელება იქნება.)

როდესაც მოთმინების ფიალა აივსება და შურის-ძიების დრო დადგება: სიმწარისაგან გააფრთებული ხალხი თვალებიდან ნაპერწკლებს გადმოუყრის, მთელს თავის ენერგიას, ფეხზე წამოაყენებს, გულში დამარხულ-დასამარებულ ძალ-ღონეს აამოძრავებს და სასტიკ იერიშს მიიტანს უსამართლობის სიმაგრეებზე, რომ სამუდამოთ მოსპოს მისი სახსენებელი, ძირიან-ფესვიანათ ამოაგდოს არსებული მტარვალური წესწყობილება. მაშინ ეს ძლევა მოსილი ხალხი თავის მტარვალებსა და გამანადგურებლებს, ერთხმათ მოჰკითხავს პასუხს და ეს დრო არც ისე შორს არის..

თუმცა განთიადისას ცაზე ბლომათ გროვდებიან შავი ღრუბლები, რომ მუქი მოხადონ ამომავალ მზეს. თუმცა ბიუროკრატია უკანასკნელად იწვევს სამოქმედოთ თავის ჯოჯოხეთურ ძალებს, მაგრამ პოეტის თქმისა არ იყოს, „რაც უნდა ღამე იყოს ბნელი, მაინც ველით განთიადსა“.

Renegat

# რუსეთი

6 ივლისს ღამეს პეტერბურგში იცოდნენ თითქმის ყველამ, იმ ახალ განკარგულებაზე, რომ არეულობა ჩაქრობილ უნდა ყოფილიყო დასაწყისშივე.

„რეჩის“ სიტყვით, ყველა პოლკის უფროსები, რომელნიც დაბანაკებულნი არიან პეტერბურგში: სემიონოვის, პრეობრაჟენსკისა, ეგერისა, იზმაილოვისა, გრენადერისა, პავლოვისა, ფინლიანდიისა და სხვ. პოლკები. ადრე საღამოს დაბარებულ იქმნენ პეტერბურგის გარნიზონის უფროსის ბრძანებით, პირველ კორპუსის შტაბში, რომელთაც დახვდათ საგენერალო შტატის პოლკოვნიკი პოლოვცოვი და ჰქონდათ თათბირი, თუ როგორ გაენაწილებიათ ჯარი, რომელიც მოვიდა გუშინ შუაღამისას კრასნოე სელოდგან. ჯარმა არეულობის დროს უნდა მიიღოს ყოველივე ზომა, რომ ჩაქრობილ იქნას არეულობა დასაწყისშივე. (რეჩ).

—

მკვლელი გენერალ კოზლოვისა, არაფერს ჩვენებას იძლევა. (რეჩი)

—

იმ კვირას საზღვარ-გარეთ წავიდენ 200 ოჯახი, მათ შორის არიან უმეტესად მის უდიდებულესობის ამალა და გენერლები. (რეჩი)

—

პეტერგოფში გენ. კოზლოვის მოკვლის შემდეგ, სასახლის კომენდანტმა ტრეპოვმა არ დაჰკარგა გავლენა სასახლეში, კრიმში მისი წასვლა გადაიდო. ამ შემთხვევამ გამოიწვია ფარულ პოლიციის შტატის მომატება. (რეჩი)

გრიაზოვეცის მაზრაში, ვოლოგდის გუბერნიაში, დაიწყო აგრარული მოძრაობა. გლეხები ჰკაფვენ ტყეებს, რომელიც ეკუთვნის მემამულეებს. მემამულენი გარბიან. (რ.)

—

ღამე 23 ივნის, ცეცხლი გაუჩნდა იაროშის სახლს, გობრუისკთან ახლო მდებარე კრივო-იკრიუკს, ერთ დანწვერ სარაიაში იპოვეს დიდძალი იარაღი, თოფები და ცივი იარაღი, დაბუგული ცეცხლით. მოკრებილი იარაღი გაგზავნილ იქმნა პოლიციაში, მაგრამ იარაღის პატრონი კი არ დატუსაღეს.

—

როგორც „სტრანა“ გადმოგვცემს, 12 ოსი რომელიც დაქირავებული იყო ლოცევის მიერ დარაჯებად, ინტელიგენტთა მოლაპარიკების შემდეგ, უარი განაცხადეს და დაბრუნდნენ უკანვე სამშობლოში სადგურ დარგ-კოხიდგან.

რადგან სოფლის დარაჯნი, მრავლად ანებებენ თავს სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსთქვა სურვილი, რომ სოფლის დარაჯებად აყვანილ იქმნან ჯარის კაცნი, რომელნიც ჩარიცხული არიან სათადარიგო ჯარში. პოლკების უფროსებს უწყათ, სამინისტროს გადაწყვეტილება. სემიონოვის პოლკის უნტერ-ოფიცრებს აძლევენ ჟანდარმობას. მრავალმა იმათგანმა განაცხადა რომ როცა სამშობლოში დავბრუნდებით, მაშინ გაცოდინებთო. (სტრანა)

—

ბევრი ოსები, რომელნიც რუსეთში დაქერილი არიან დარაჯებად, თავიანთ შეგნებულ ინტელიგენციის ზედ გავლენით, პირობის ხელშეკრულობას არღვევენ და ისევე ბრუნდებიან უკანვე სამშობლოში. ამ გულისათვის პეტერბურგიდგან გზაზნიან კავკავის ოლქში პოლკოვნიკს (რომლის გვარს ჯერ მალავენ) რომელსაც აქვს რწმუნება, რომ მოჰკრიბოს ხელახლად ოსები დარაჯებად. (სტრანა).

—

5 ივლისს ღამეს „მისლიე“ სიტყვით დააპატიმრეს პოლიციელნი კოლომენსკის ნაწილისა: ვასილიევი, კულკო, ივანუკი, მოროზოვი და სერბაჩევი. გაფიცვის გამო.

—

ქალაქ კემში, როგორც იუწყება „სევერნი ლისტოკი“ თვენახევარი რაც კურსკის გუბერნიიდგან პუტივლის მაზრიდგან, მოსე საველის ძე წერა-კითხვის არ მცოდნე. იგი გამოგზავნილია ადმინისტრატიული წესით 3 წლის ვადით. რომელსაც ბრალდება სარევოლუციო აგიტაცია; შაქრის მზადებულ ქარხნის მუშებთა შორის?!

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს, თქვენის გაზეთ „მუშის“ საშუალებით; სოფლის მუშების საყურადღებოდ და ზოგიერთ სოციალ-დემოკრატების ფიზიანომიის გამოსააშკარავებლად, აღვნიშნო ერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი ქონდა გურიის ერთ სოფელში და მით დაუმტკიცო, ეს-დეკებს რამდენად იცავენ სიტყვის და რწმენის თავისუფლებას!..

ივნისის ბოლო რიცხვეში, თბილისიდგან სოფელში დაბრუნების დროს, წავიღე რამდენიმე ხომერი გაზეთ „მუშისა“ და მინდოდა გამეცნო მშრომელ გლეხობისათვის, რამდენათაც შევიძლებდი, გაზეთის მიმართულება და შინაარსი და მით დამემტკიცებინა მათთვის, რომ მაპროტესტი და ბურჟუაზიული გაზეთ „მუშის“ მიმართ უსაფუძლო იყო და, რომ ანარქისტები მართლა მუშების ინტერესების დამცველნი არიან. რამდენიმე გლეხს უკითხავდი გაზეთ „მუშას“ და მის შინაარს უხსნიდი, ამ დროს მოვიდა ორი სოციალ-დემოკრატი და ასტეხეს ბურჟუაზიული და ყიყინი; „მუშა ხულიგანების გაზეთია, მუშის“ თანამშრომლები მთავრობის მოყიდულნი არიან და უნდათ სოციალ-დემოკრატები განდევნონ“ და სხვა და სხვა.....

მე სიტყვა აღარ მათქმევინეს და გაზეთის მოტანისათვის, როგორც გადამდებ სენისა, ბოიკოტს დამემუქრნენ. მე სხვა და სხვა მიზეზების გამო, იძულებული ვიყავი გავშორებოდი მათ. ასეთია მათი „სიტყვის“ და „რწმუნების“ თავისუფლება, მეტად კი სოფელში, სადაც გლეხობა ხელში ყავთ ჩამწყვდეული და უმათვოდ არ შეუძლიათ ბიჯი გადადგან. „ჩვენ უწინ მოვედითო“ ამბობენ სოციალ-დემოკრატები; მახლას! მეფეები და ღვდლები მათზედ უწინ მოვიდნენ ალიხანოვ-ავარსკებით და თუ ასეა პირველობა მათ ეკუთვნის?!!

ან—კო.

# დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

**ოდესსა.** არეულობის ადგილას ჯარმა გაფანტა ბრბო. რამდენიმე დუქანი აწიოკებულია. პოლიციის ცნობით, თვით-დაცვის წევრებიდგან მოკლულია 2 და დაჭრილია 2. შუა ქალაქში კი მშვიდობიანობაა. განაპირზე მცხოვრებნი ებრაელნი გადადიან შუაგულ-ქალაქში.

**პეტერბურგი.** დაკეტილია კლუბი, კადეტებისა სოციალ-პოლიტიკური და მშრომელთა ჯგუფისა.

— „ნოვოე ვრემია“ ბეჭდავს „მშვიდობიან განახლების“ ...ტი-ს მოწოდებას ამომრჩევლებ... დმი. ხელმოწერილია გრაფ ჰე... ლვოვი და სტახოვიჩის მიერ. ...ტია მოუწოდებს ხალხს წესრიგ... ყოფნას.

— როგორც ხმებია, სამ... უარი განუცხადებია ობერ-პრო... რორის ადგილზე.

— მიწად მოქმედების ... მართველობას აბარებენ ნ. ... კოვს.

**ლოძი.** გუშინ ზგორჟსკით ... ფლოთზე მარიავიტის და კათო... დამარხვის დროს, მოხდა არე... ბა. დაჭრილია 3 მარიავიტი.

**ლონდონი.** გრაფ ტოლსტ... ინგლისელ მწერალ დევიდსონ... წერილში; გამოთქმულია მისი ... სახელმწიფო სათათბირო წინაა... გი,—და რომ შეცდომა გამოაშკარავდებაო და რუსის ხალ... წავა სულ სხვა გზითაო.

**ოდესა.** საღამოს ხელ-მეორ... განმეორდა თოფების სროლა ... დნი და რაზუმოვსკის ქუჩებზე. გამვლელი დაჭრილია, მათ შორის ერთი 10 წლის ბიჭი. (რუსი).

**მოსკოვი.** „რეჩ“-ი იუწყება, რომ გრადონაჩალნიკის მიერ შე... ნებულია „სტრანა“ ს ნაშა ...

**ვარშავა,** საზღვარ-გარედ წასვლა ძალიან ემატება.

— უცნობმა პირებმა მოკლეს ჟანდარმის პოდპოლკოვნიკი სალო... ტოვი.

**სარატოვი.** თავი მოიკლა რია... ზან-ურალის რკინის გზის უფროსმა იგნაციუსმა. მიზეზი მკვლელობისა არ იციან.

**ბახმუტი.** სავიჩის მამულში, სლავიანო-სერბიის მაზრაში, გლეხებმა სცემეს დარაჯებს. ერთი იმათგანი მოკვდა.

**ხარკოვი.** კონის მოედანზე მუშებმა გაანთავისუფლეს ტუსაღი გრიდინი, რომელიც მიჰყავდათ ციხეში.

**მიტავა.** გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა ყველა რადიკალური პოლიტიკური გაზეთები კურლანდიაში, რომელნიც იწვევდენ არეულობაზე.

**მოსკოვი.** შეყენებულია გაზეთები „ნაროდნოე დელო“ და „ტრუდოვაია რეჩ“.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** 20 შეიარაღებულმა ბოროტ-მოქმედებმა, დაეცნენ ფალკოვსკის მამულს. შეკრეს თვითონ და მისი მსახური წაიღეს ძვირფასი ნივთები და ფულ... ლალოდები და მიიმალნენ.

**პიატიგორსკი.** ესენტუკის ახლო მოხდა შეტაკება სახალხო მატარებლებისა. გატეხილია 1 ვაგონი. მოკლულია 2 დაჭრილია 6 კაცი.

რედაქტორ გამომცემელი მიხეილ ღიასამიძე

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგი“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.